სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 ოქტომბერი, 2025 წ.

ბრძანება N 01-10/85

ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ქართული ენა უცხოელთათვის" 2025-2026 სასწავლო წელს სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის" დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 ნოემბრის №01-02/260 ბრძანების,** ამავე ცენტრის მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორ ქეთევან შოთაძის 2025 წლის 22 ოქტომბრის სამსახურებრივი ბარათის (№1390787) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე **,,ქართული ენა უცხოელთათვის"** (სულ 600 საკონტაქტო საათი) 2025-2026 სასწავლო წელს სწავლის საფასური 1 მსმენელისათვის (ჯგუფში მეცადინეობა) განისაზღვროს <u>2000 აშშ დოლარის</u> შესაბამისი ეკვივალენტი ლარში.
2. 2025-2026 სასწავლო წლისათვის პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის" განმახორციელებელი პერსონალის **შრომის ანაზღაურება განისაზღვროს:**
   ა) პროგრამის განმახორციელებელი **(საკონტაქტო საათების შემსრულებელი)** ძირითადი პერსონალის 1 (ერთი) საათის შრომის ღირებულება - **38 ლარით;**
   ბ) დამხმარე პერსონალის - ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი <u>მიმართულების **კოორდინატორის**</u> 1 (ერთი) საათის შრომის ანაზღაურება **-30 ლარით;**
   გ) დამხმარე პერსონალის - ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით **ასისტენტის** (სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით) 1 (ერთი) საათის შრომის ანაზღაურება - **25 ლარით.**
3. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით **დამტკიცდეს** პროგრამის **,,ქართული ენა უცხოელთათვის" ხარჯთაღრიცხვა** 10 მსმენელზე **გაანგარიშებით,** წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორს, რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მერაბ ხალვაშს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მ. დიასამიძე

„ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე „ქართული ენა უცხოელთათვის"
2025-2026 სასწავლო წელს სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ"
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 24 ოქტომბრის № 01-10/85 ბრძანების
დანართი 1

1.	2025-2026 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე „ქართული ენა უცხოელთათვის" სწავლის საფასურის და პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობის გათვალისწინებით **ხარჯთაღრიცხვა** (10 მსმენელზე)	
1.1.	**მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში – 10**	
1.2	სწავლის საფასური ერთ მსმენელზე	**2 000 აშშ დოლარი,** შესაბამისი ეკვივალენტი ლარში
1.3	სულ შემოსავალი	10X2000$=**20 000 აშშ დოლარი** (54 343.45 ლარი, დაანგარიშებულია 21.10.2025 წლის მდგომარეობით))
2.	**ხარჯები**	
2.1.	შესასრულებელი სამუშაო საათების რაოდენობა	**950 საათი** (600 საკონტაქტო და 350 - დამხმარე პერსონალის)
2.2	**პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის**	**32 550 ლარი**
2.2.1.	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი	**22 800 ლარი**
2.2.2	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი)	**6000 ლარი**
2.2.3.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით)	**3750 ლარი**
3.	არაპირდაპირი დანახარჯები (პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები, შემოსავლის 40 % დღგ-ს გათვალისწინებით)	**21 793.45 ლარი**
4..	სულ ხარჯები	**54 343, 45 ლარი**

პროგრამის საკონტაქტო საათების განაწილება და შრომის ანაზღაურება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე

	პროგრამის განმახორციელებელი და დამხმარე პერსონალი	**საკონტაქტო საათი**	**1 სთ-ის ანაზღაურება (ლარი)**	**საერთო შრომის ანაზღაურება (ლარი)**
1.	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი (საკონტაქტო საათების შესასრულებლად მოწვეული მასწავლებლები)	600	38	**22 800 ლარი**
2.	**პროგრამის დამხმარე პერსონალი**			
2.1.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების **კოორდინატორი)**	200	30	**6 000 ლარი**
2.2.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - **ასისტენტი** სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით)	150	25	**3 750 ლარი**
			სულ	**32 550 ლარი**